სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №79
2013 წლის 23 მაისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 27 ივლისის №135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 27 ივლისის №135 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 03/08/2012, 040030000.54.066.016031) დამტკიცებულ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3 ამ წესით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ ვრცელდება ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებზე, რომლებიც ამ ბრძანების ამოქმედებამდე ასრულებდნენ ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის მოვალეობებს სააგენტოში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები გავრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან.

5. ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის კვალიფიკაცია პირს ენიჭება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, ამ წესით დადგენილ საკვალფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენისა და უსაფრთხოების ინსპექტორის მოსამზადებელი პროგრამის გავლის შემდეგ.

2. მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2 ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის კვალიფიკაციის მისანიჭებლად სავალდებულოა ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის მომზადების პროგრამის გავლა შესაბამისი განხრით.

3. ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების მომზადების პროგრამა მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გურამ ჯალაღონია**